№ 1/1/251 11. 10 2024

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „ევროპული სკოლის“ თანამშრომელთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ

შპს „ევროპული სკოლის“ წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული სახით დამტკიცდეს შპს „ევროპული სკოლის“ თანამშრომელთა ეთიკის კოდექსის ახალი რედაქცია, ქართულ და ინგლისურ ენებზე.
2. წინამდებარე ბრძანებისა და მის საფუძველზე დამტკიცებული ეთიკის კოდექსის ახალი რედაქციის შესაბამისი პირებისათვის გაცნობა დაევალოს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელს.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „ევროპული სკოლის დირექტორის 2023 წლის 30 ოქტომბრის N1/1/79 ბრძანება.
4. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დანართი: შპს „ევროპული სკოლის“ თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სოფიო ბაზაძე
დირექტორი
შპს „ევროპული სკოლა“

21. Skhirtladze Str. Tbilisi, 0177, Georgia
Tel: (032) 239 59 64,
info@europeanschool.ge
www.europeanschool.ge
ს/კ: 205172917

შპს „ევროპული სკოლის“ თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი

გადახედვის სიხშირე: ყოველწლიური
მომზადებულია: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური/იურიდიული სამსახური
პოლიტიკის შემუშავების თარიღი: ოქტომბერი, 2014
დოკუმენტის გადახედვის ბოლო თარიღი: სექტემბერი, 2024
ბოლო გადახედვა: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური/იურიდიული სამსახური

GEORGIA "EUROPEAN SCHOOL" Ltd 205172917

სოფიო ბაზაძე
დირექტორი

პრეამბულა

შპს „ევროპული სკოლის“ (შემდგომში - „ევროპული სკოლა“) ეთიკის კოდექსის დანიშნულებაა, დაადგინოს პრინციპები და სტანდარტები, რომლებიც აუცილებელია ევროპულ სკოლაში სწავლისათვის საუკეთესო გარემოს შესანარჩუნებლად. ევროპულ სკოლაში სწავლა ეფუძნება თითოეული ინდივიდის უფლებების, ღირსებისა და უსაფრთხოების პატივისცემას. ეთიკის კოდექსი წარმოადგენს „ევროპული სკოლის“ აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამშრომლების და მოხალისეების (პრაქტიკანტი, სტაჟიორი) სახელმძღვანელოს ევროპულ სკოლაში ქცევისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს „ევროპული სკოლის“ თანამშრომლებისა და „ევროპული სკოლის“ საზოგადოების სხვა წევრების უფლებების დაცვა, მზრუნველი გარემოს ხელშეწყობა და მრავალფეროვნების/განსხვავებულობის მიმღებლობა, აგრეთვე, „ევროპული სკოლის“ ქონებისა და საერთო რესურსების დაცულობა და სწავლებისათვის საუკეთესო გარემოს შექმნა დაშენარჩუნება.

„ევროპული სკოლის“ ეთიკის კოდექსი უზრუნველყოფს, სკოლის მისიისა და ღირებულებების კონსისტენტური ქცევის წახალისებას.

მუხლი 1. ეთიკის კოდექსის სამართლებრივი საფუძვლები

ამ კოდექსის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს შრომის კოდექსი, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 ივლისის N57/ნ ბრძანება და „ევროპული სკოლის“ წესდება.

მუხლი 2. ეთიკის კოდექსის პრინციპები

„ევროპული სკოლის“ ყველა აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე თანამშრომელი და მოხალისე:

ა) თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით, „ევროპული სკოლის“ წესდებითა და სხვა მარეგულირებელი აქტებით მისთვის მინიჭებული უფლებებით;

ბ) იზიარებს „ევროპული სკოლის“ წესდებისა და წინამდებარე ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ დებულებებს, ღირებულებებსა და პრინციპებს და განუხრელად იცავს მათ;

გ) აღიარებს „ევროპული სკოლის“ უფლებას ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, განიხილოს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი „ევროპული სკოლის“ შინაგანაწესში და სკოლის სხვა სამართლებრივ აქტებში გაწერილი პროცედურის შესაბამისად და იღებს ვალდებულებას, შეასრულოს შესაბამის საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 3. ეთიკის ზოგადი წესები

1. აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამშრომლისათვის და მოხალისეებისათვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:
ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (მობილური ტელეფონით სარგებლობა გაკვეთილების ჩატარების დროს და სხვა შეუფერებელი ქმედება);
ბ) მოწევა (თამბაქო/ელექტრო სიგარეტი) ევროპული სკოლის ტერიტორიაზე;
გ) ევროპული სკოლის ტერიტორიაზე ალკოჰოლური სასმელის შემოტანა, გავრცელება ან/და გამოყენება;
დ) აზარტული თამაშები;
ე) „ევროპული სკოლის“ ტერიტორიის დანაგვიანება;
ვ) დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრისათვის უფლებამოსილი პირის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა;
ზ) ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შემოტანა, გავრცელება ან/და გამოყენება;
თ) ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის შემოტანა ევროპული სკოლის ტერიტორიაზე ან/და გავრცელება;
ი) ევროპული სკოლის ტერიტორიაზე ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შემოტანა ან/და გავრცელება, რომლებიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;
კ) სკოლაში, ან მისი ინფრასტრუქტურის, მათ შორის ელექტრონული ფოსტის ან/და სკოლის მონაცემთა ბაზის გამოყენებით პირდაპირი ან/და ირიბი სახის რელიგიური ან/და პოლიტიკური სახის აგიტაცია ან/და პროპაგანდა;
ლ) სკოლის სახელის, პრესტიჟის, სიმბოლიკისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვა ცრუ და გადაუმოწმებელი ინფომაციის გავრცელებით სკოლის საქმიანობის ან სკოლაში დასაქმებული პირების, სკოლის მოსწავლეების შესახებ, მედია-საშუალებების, სოციალური ქსელების, ასევე ელექტრონული ფოსტის ან/და სკოლის მონაცემთა ბაზის გამოყენებით პირდაპირი ან/და ირიბი ფორმით.
მ) სხვა ნებისმიერი სახის ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება ეთიკის ნორმებს ან/და ხელს შეუშლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას.
2. აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე თანამშრომელი და მოხალისე:
ა) ვალდებულია არ დააგვიანოს ან/და არ გააცდინოს არასაპატიო მიზეზით გაკვეთილები და სხვა სახის სასწავლო ღონისძიებები, სასკოლო პრეზენტაციები და ცერემონიები, ხოლო საპატიო მიზეზის არსებობისას სკოლაში დადგენილი წესების დაცვით გააფრთხილოს უშუალო ხელმძღვანელი დაგვიანებისა ან/და გაცდენის შესახებ;
ბ) იცავს კონფიდენციალობას მოსწავლეების, კოლეგების თუ სწავლების პროცესში ჩართული სხვა პირების შესახებ, თუ ინფორმაციის გამჟღავნება სამართლებრივად არ არის სავალდებულო/ნებადართული;
გ) თავისი საქმიანობის განხორციელებისას ყოველთვის პუნქტუალურია და მოწესრიგებულია;
დ) მაქსიმალურად ეფექტურად, მხოლოდ სასწავლო მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად იყენებს სწავლებისთვის განკუთვნილ დროს;
ე) უფრთხილდება „ევროპული სკოლის“ ქონებას და მიზანმიმართულად იყენებს მის რესურსებს;
ვ) არ აყენებს მოსწავლეებს ან კოლეგებს სიტყვიერ, ფიზიკურ, თუ სხვა სახის შეურაცხყოფას;
ზ) იჩენს თანაბარ ყურადღებასა და მზრუნველობას ყველა მოსწავლის მიმართ განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, გენდერული, ენობრივი, თუ მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა და რაიმე სხვა ნიშნისა;
თ) აცნობიერებს მრავალფეროვნების/განსხვავებულობის და მსოფლიო მოქალაქეობის არსს;
ი) ვალდებულია, თავი შეიკავოს მოსწავლეების თანდასწრებით კოლეგებისთვის შენიშვნის/მითითების მიცემისგან;

კ) არ უტარებს „ევროპული სკოლის“ მოსწავლეს კერძო გაკვეთილს ანაზღაურების სანაცვლოდ და მოსწავლის შეფასებისას არის ობიექტური და მიუკერძოებელი;
ლ) არ იღებს მოსწავლისგან ან მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისგან საჩუქარს ან სხვა სახის სარგებელს მოსწავლის მაღალი შეფასების, თუ მისთვის უპირატესობის მინიჭების სანაცვლოდ.
3. „ევროპულ სკოლაში“ დასაქმებული მასწავლებლის მიმართ ასევე ვრცელდება „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 ივლისის N57/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი“.

მუხლი 4. პასუხისმგებლობა ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის

ამ კოდექსით განსაზღვრული წესების დარღვევის შემთხვევაში პირის პასუხისმგებლობა განისაზღვრება „ევროპული სკოლის“ შინაგანაწესის, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. „ევროპული სკოლა” უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილებები წინამდებარე კოდექსში და ვალდებულია ცვლილების შეტანის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს თვალსაჩინო ადგილას ან/და განათავსოს „ევროპული სკოლის“ ვებ- გვერდზე;
2. წინამდებარე ეთიკის კოდექსის რომელიმე დებულების (მუხლის, პუნქტის, ქვეპუნქტის) ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა არ იწვევს კოდექსის სხვა მუხლების ბათილობას ან ძალადაკარგულად ცნობას.
3. ევროპული სკოლის აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე თანამშრომლები და მოხალისეები ვალდებულნი არიან გაეცნონ წინამდებარე ეთიკის კოდექსს, მასში განხორციელებულ ცვლილებებს და დაიცვან იგი.

European school LLC

The Code of Ethics

Review Frequency: Annual

Policy written by: HRM Division/Legal Division

Policy written in: October, 2014

Last review date: September, 2024

Last review by: HRM Division/Legal Division

Sophio Bazadze
Director

Preamble

The purpose of the Code of Ethics of the "European School" LLC (hereinafter the "European School") is to establish principles and standards that are essential in maintaining an excellent learning environment at the "European School." Learning at the "European School" rests upon respect for individual rights, dignity and security. The Code of Ethics serves as a guide of behavior at the "European School" for academic, administrative, support staff and volunteers/intern of the "European school" to ensure that rights of all members of the "European School" community are upheld properly, caring environment is promoted and diversity is embraced, the "European School" property and common resources are secured while an excellent learning environment is created and maintained.

The "European School" Code of Ethics ensures promoting behavior that is consistent with the mission and values of the school.

Article 1. Legal Bases of the Code of Ethics

The legal bases of this Code are the Constitution of Georgia, Labor Code of Georgia, Law of Georgia on General Education and the Statute of the "European School", Order N57 / N of the Minister of Education and Science of Georgia of 14 July 2010 on the Approval of the Code of Teacher Professional Ethics and the Charter of the School.

Article 2. The Principles of the Code of Ethics

Every member of the academic, administrative, support staff, and volunteer of the "European School:"

a. Is equally entitled to the rights granted by the Legislation of Georgia, Statute of the "European School" and other regulatory acts;

b. Complies with the provisions, values and principles enshrined in the Statute of the "European School" and this Code of Ethics and strictly adheres to them;

c. In case of breach of the Code of Ethics, acknowledges the right of the "European School" to determine an imposition of a disciplinary action according to the procedure indicated in the "European School" Staff Handbook, and takes responsibility to follow the decision that is made in this regard.

Article 3. General Rules of Ethics

1. The actions of members of the academic, administrative, support staff and volunteers that shall be deemed inappropriate and unethical:

a. Hindering learning process (use of a cell phone during class or any other inappropriate action);

b. Smoking (tobacco/electronic cigarette) within the school campus;

c. Bringing, supplying or/and using alcoholic beverages on the territory of the European

School;
d. Gambling;
e. Littering the "European School" premises;
f. Resisting demands of a person authorized to take a disciplinary action;
g. Bringing, supplying or/and using narcotic or/and psychotropic substances;
h. Bringing or/and supplying firearms and cold weapons on the territory of the European School;
i. Bringing or/and supplying explosive and flammable substances which pose a real threat of fire or/and explosion on the territory of the European School;
j. A direct or/and indirect religious or political agitation or/and propaganda at the school by use of a school infrastructure, including electronic mail or/and school database;
k. Slander against the school name, prestige, symbols and reputation through dissemination of false and unverified information regarding school activities, school employees and students through using media resources, social networks, as well as electronic mail or/and school database in a direct or indirect manner;
l. Any other action that contradicts ethical norms and therefore disrupts the learning process.
2. The member of the academic, administrative, support staff and volunteer:
a. Is required not to be late or/and not to miss classes or any other education events, school presentations and ceremonies due to inexcusable reasons, whereas in case of excusable reasons, is required to notify an immediate supervisor in accordance with school rules regarding lateness or/and absence;
b. Protects the confidentiality/Personal information of students, colleagues or other individuals involved in the learning/working process unless the disclosure of information is legally required/ allowed;
c. Is punctual and organized while carrying out job responsibilities;
d. Uses allocated time for learning process effectively to solely fulfill learning goals and objectives;
e. Looks after the property of the "European School" and uses its resources in a proper manner;
f. Does not engage in verbal, physical or other types of abuse against students or colleagues;
g. Shows equal attention and care towards every student irrespective of their social, ethnic, religious, gender, linguistic belongings, and points of view or on any other grounds;
h. Embraces diversity and incorporates global citizenship;
i. Is obliged to refrain from giving remarks / instructions to colleagues in the presence of students;
j. Does not give paid private tutorials to the students of the "European School;"
k. Does not receive a gift or any other types of profit from a student or student's legal guardian in exchange for good grades and a favorable advantage.
3. „The Code of Professional Ethics for Teachers "approved by the Order N57 / N of the

Minister of Education and Science of Georgia of July 14, 2010 also applies to teachers employed in the European School.

Article 4. Penalties for Breaching the Code of Ethics

In case of a breach of the general rules defined in this Code of Ethics penalties will be determined according to the: Staff Handbook of the "European School", Agreement concluded between the parties and applicable Legislation of Georgia.

Article 5. Concluding Provisions

1. The "European School" is entitled to introduce amendments to this Code of Ethics and is obliged to put them on display or/and publish them on the "European School" website;
2. Abolition or invalidation of any provision of this Code of Ethics (article, section or subsection) does not result in abolition or invalidation of other articles of the Code.
3. Members of the academic, administrative, support staff and volunteers are obliged to get acquainted with the Code of Ethics and its amendments and fulfil it.